# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ორშაბათი, 28 თებერვალი 1900 წ. № 1056.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



## „მ ო ა მ ბ ე“ **1900 წ.** „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში**

ფასი ჟურნალისა: [illegible]ვნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით

10 მანეთი 6 მან. 4 მან.

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით

6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

**ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.**

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**



ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (6 0—18)



**ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა აცხადებს** ყველა იმ პირთა საყურადღებოთ, რომლებსაც უფლება აქვთ ოზურგეთის ქალაქის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, რომ ქალაქის რწმუნებულთა მეორე ოთხი წლით 1900-1904 ასარჩევი კრება დანიშნულია 20-ს მარტს ამა 1900 წელს. ნ. 3—3


## ახალი ამბავი

✦ გუშინ ტფილისში დეპეშა მოვიდა პეტერბურგიდან, რომლითაც იუწყებიან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელს დაუმტკიცებია უკანასკნელი ხელ-შეკრულობა ტფილისის ქალაქის გამგეობისა ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელ ბ-ნ რობისთან **ტფილისის ტრამვაის კონცესიის** ხსენებულ საზოგადოებისთვის ხელმეორედ გარდაცემის შესახებ.

✦ დღეს, 28 თებერვალს, **ტფილისის საბჭოს** მორიგი კრება არ შესდგება.

✦ დღეს, 28 თებერვალს, ქ. სიღნაღში დაიწყება **სხდომები ტფილისის საოლქო სასამართლოს განყოფილებისა**, რომლის თავმჯდომარედ არის საოლქო სასამართლოს წევრი ი. ო. პარჩევსკი, წევრად ე. თ. პადალკო და ბრალმდებელად ნ. ა. ტარსაიძე. სესსია 7 მარტამდე გასტანს; გასარჩევია 36 სისხლის სამართლის საქმე.

✦ უწმ. სინოდს გადაუდევია 26 ათასი მანათი **ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კონტორის** საეკლესიო თანხის გასაძლიერებლად. ამასთანავე „ტფ. ფურცელს“ ატყობინებენ, რომ სინოდში ამ ჟამად იხილება შუამდგომლობა ხსენებულ კონტორის შტატების გაძლიერების შესახებ.

✦ **საქართველოს სამხედრო გზა გაიხსნა.** გუშინ ტფილისში მოვიდა რუსეთიდან რამდენიმე დღის ფოსტა ერთად.

✦ მოგვივიდა მეორე (თებერვლის) წიგნი საყმაწვილო ჟურნალის **„ჯეჯილისა“** შემდეგის შინაარსით: I «დედა და შვილები»—(რუსულიდან) ლექსი შ. მღვიმელისა; II «მარო და მერცხალი»—(გადმოკეთ.) იაკობ გოგებაშვილისა; III «ვაშლის ხე»—ან. წერეთლისა; IV «გლეხი და გველი» (სპარსული იგავი) გ. ახალციხელისა; V «გრუხების ბრძოლა ქორთან» იაკობ გოგებაშვილისა; VI «საბრალო სანთლის თავგადასავალი»—(რუსულიდან) ან. წ—სა; VII «სწავლული კირა»—ი. ა—სი; VIII «იესო ქრისტე ქორწილში»—გ. წულუკიძისა; IX «მესტვირე»—(იგავი) ალ. მ—შვილისა; X «ვენახვი»—ვაჟა-ფშაველასი; XI *** ლექსი შიო მღვიმელისა; XII «სამშობლოს სიყვარული»—პელაგიაშვილისა; XIII «პასკალის ოჯახი»—(დასასრული) ან. წერეთლისა; XIV «ჭაობში თრევა» II—ილიკოსი; XV «სამეცნიერო გასართობი»—ბორასი; XVI წვრილმანი: ხალხური ლექსი, გამოცანები; ანდაზები, აკროსტიხი; ანაგრამა, უჯრების ამოცანა, რებუსი და სხვ.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**26 თებერვალი**

**პეტერბურგი.** 26 თებერვალს ეზიარნენ ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, მემკვიდრე, დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე მეუღლითურთ.

ანიჩკოვის სასახლის ეკლესიაში, 26 თებერვალს, ღვთით განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III ხსენების დღეს, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრები და მთავრინები.

**ლონდონი.** „დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან 24 თებერვალს: „კრიუგერმა ბლიუმფონტენში წასვლამდე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, როგორც ამბობენ, გამოაცხადა შემდეგი: არავინ იცის, დასრულდება ეს ომი სამედიატორო სამართალით, თუ უცხო სახელმწიფოს ომში ჩარევით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ომი ერთ თვეს შემდეგ დასრულებული იქნებაო“.

„დეილი ნიუს“-ს პრეტორიიდან ატყობინებენ 24 თებერვალს: „აქაური წარჩინებულნი პირნი ამბობენ, რომ, თუ ინგლისს ჰსურს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების დაპყრობა, მაშინ უკანასკნელებმა უნდა იბრძოლონ უკიდურესობამდე. მეორეს მხრით, ინგლისის მიერ პირაბდილი აღიარება თავის განზრახვისა შესაძლებელად გახდიდა მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე მოლაპარაკების გამართვას, რადგანაც ინგლისის სახელი უკანასკნელ გამარჯვებებით აღდგენილია. კრიუგერსა და შტეინს ორშაბათს თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, მიუმატონ თუ არა ზემოდ აღნიშნული იმ დეპეშას, რომელსაც გაუგზავნიან სოლისბერის; მაგრამ ორივე რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებულობის დაცვა რჩება პირობათ, ურომლოდაც მორიგებაზე ლაპარაკი არ შეიძლება“.

**ჯემსტაუნი.** ბრაბანტის დივიზია მოვიდა აქ; წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

**ლონდონი.** ბურების უმთავრეს ბანაკიდან ბიგგერსბერგთან იტყობინებიან 24 თებერვალს „მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ გუშინ ვაშბანკთან ისინი შეხვდნენ ინგლისელთა ექვს მზვერავს, რომელთაგან ერთი მოკლეს და სამი დასჭრეს. შემდეგ ისინი იტყობინებიან, რომ 12000 ინგლისელი მიემართება ბურების პოზიციებისაკენ გელპმაკაარიდან“.

**კოპენჰაგენი.** გარდაიცვალა დანიელი კომპოზიტორი გარტმანი 94 წლისა.

**პარიზი.** ქ-ნ ანრიოს ანდერძის აგება მოხდა მონტ-ონორეს ეკლესიაში. კუბო შემკული იყო აუარებე-

ლის გვირგვინებით. დაესწრნენ ყველა ცნობილი არტისტები. ლუბემ ბეალდეკ-რუსომ გამოგზავნეს თავისი წარმომადგენლები. ლეიგი თვითონ დაესწრო.

27 თებერვალი

**კიმბერლეი.** კიტჩენერი ამ ჟამად აქ არის.

**პიტერმარიცბურგი**. აქ მოვიდა ლედი-სმიტიდან გენ. უაიტი. ხალხი აღტაცებით მიეგება მას.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ ლედი-სმიტიდან 25 თებერვალს: „ამბობენ, რომ ბურები ბანაკდებიან ბიგერსბერგთან, რათა თვალ-ყური ადევნონ დრაკონის მთების გასავალს“.

„ტაიმს“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან 25 თებერვალს: „იოჰანესბურგში მცხოვრებ ევროპიელთ ებრძანათ დაუყოვნებლივ ჩაეწერონ საპოლიციო ჯარებში. წყლით ავსილ ოქროს მაღნებიდან აღკრძალულია წყლის ამოღვრა. ბურების ჯარმა დაიჭირა პოზიცია ბლუმგოპთან, რათა დაუშალოს მტერს რკინის გზით წასვლა მეფეკინგისაკენ ან კლერკსდორპტისაკენ“.

**პრეტორია.** გელპმაკაარისაკენ დღეს დაიწყო ბრძოლა.

კრიუგერი დაბრუნდა ბლუმფონტენიდან და მას თან ახლავს გენ. გრობლერი. ამბობენ ჟუბერიც მალე ნახავს კრიუგერსაო.

**კაპშტადტი** კიტჩენერი ამ ჟამად იმყოფება როდში, სადაც აგროვებს ჯარს გრიკუალონდის ოლქში აჯანყებულთა წინაალმდეგ წასვლისათვის.

**ლონდონი.** დედოფალმა, მოვიდა რა ვინძორს, ინახულა წასვლის წინ ბუკანგემის სასახლეში ჯარი 2,000 გვარდიელთაგან შემდგარი, რომელიც მოკლე ხანში სამხრეთ აფრიკაში უნდა გაიგზავნოს.

**ცეტინიე.** „გლას ჩერნოგორცა“ აცხადებს, რომ ხმა ვითომც მთავარი ნიკოლოოზი საზღვარ გარეთ აპირებს წასვლასაო, სიმართლეს მოკლებულია.

**ვენა.** „პოლ. კორ.“-ს აუწყებენ სოფიიდან, რომ ბოლგარიის განთავისუფლების შემდეგ, 25 წლის შესრულების გამო, კომისიამ, რომელიც მთავრის თავმჯდომარეობით შესდგება, დაადგინა, იმპერატორ ალექსანდრე მეორისათვის ძეგლის დადგმის გარდა, დაარსებულ იქმნას ბოლგარიის საეროვნო მუზეი და დავრდომილთა სახლი იმ მეომართათვის, ვინაც თავისუფლებისათვის ატეხილს ომში მონაწილეობას იღებდა.

**ბერნი.** „ბუნდ“-ს გაუგონია, რომ დელაგოას ნავთ-სადგურის გამო შვეიცარიის სამედიატორო სასამართლომ უკვე მოახდინა დადგენილება რამდენიმე მუხლის შესახებ. გარდაუწყვეტელია ჯერ კითხვა სამაგიეროდ ტერიტორიის მიცემის შესახებ, მაგრამ ეს საგანიც მალე გარდასწყდება და ორივე მხარეს გამოეცხადება განაჩენი.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**ოთხშაბათი,** 28 თებერვალი; ახალი სტილით 12 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 307 დღე. მთვარის მე-12 დღე. დიდი მარხვის მერვე დღე. ხსენება წმ. ვასილ აღმსარებელისა, მოწამისა ნესტორის და მარინესი.

**სამშაბათი,** 29 თებერვალი; ახალი სტილით 13 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 306 დღე. მთვარის მე-13 დღე. დიდმარხვის მეცხრე დღე. ხსენება წმ. კასსიანესი, წამ. თეოკტირიტასი და სხვათა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

### ნ ი ხ რ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —11 გ. | |
| სუკი . . . . | 1 » | —15 გ. | |
| » ცხვრისა . . | » » | —11 გ. | |
| » კამეჩისა. . | » » | — 5 გ. | |
| » ღორისა. . | » » | — 8 გ. | |
| » ღორის ბაჭკალი სალორეთი . | 1 » | —10 გ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დაშლა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | გ. |
| » » | II » | » » | $3^1/_2$ | » |
| » » | III » | » » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I » | » » | 5 | » |
| » » | II » | » » | 4 | » |
| » » | III » | » » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I » | » » | 6 | » |
| » » | II » | » » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კოკზიალზე | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი სა[უ]გ. | ფუთი. | მ. გ. | მ. გ. | |
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — 88 | —85 | |
| სიმინდი . . . . | 1 | — 70 | —— | |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | —— | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | —— | |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | —— | |
| კარტოფილი. . . | 1 | — 60 | —— | |
| ხახვი . . . . | 1 | — 50 | —— | |
| თივა . . . . . . | 1 | — 60 | —— | |
| ბზე . . . . . . | 1 | — 28 | —— | |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 გ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., მესაბმელი— მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო —იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დღის 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეძავე ნაწილი, სახლი მელიქაანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე 29 თებერვალს დანიშნულია ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით გაკეთება მილის არსებულ მილიდან ვორონცოვის მეგლთან ნაბერეჟნის და ხემენოვის ქუჩებზე მდინარე მტკვრამდე, სიგრძით 157 საჟენამდე, 4600 მანეთისა. მილის გაკეთება შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც, არა ნაკლებ 50 საჟენისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ნ. 3—3

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნები:

ა) **Царица Тамара**, ფ. 50 კ.

ბ) **Грузинскія обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

დ) **Исторія Грузинской церкви**, ფ. 40 კ.

შინაარსი 1-ლის წიგნისა: ა) მოკლე განხილვა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა თამარის ეპოქამდე, ბ) რუს-ქართველთა დამოკიდებულება, გ) თამარ მეფე და დ) პალეოგრაფიული ნიმუშები: 1) წერის ნიმუშები მე-VII, VIII—IX და X საუკ., 2) ხელწერილობა თამარისა, მისის მამის გიორგისა, ქმრის დავითისა, შვილის გიორგი ლაშასი, შოთასი (რუსთაველისა?), კათალიკოზის თეოდორესი, მანდატურთ ხუცესის ჭიაბერისა და სხ. წიგნის დასაწყისს დაბეჭდილია თამარ მეფის სურათ-ხატი. 2—2

გამომც. **გ. გუნია.**